საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12607/01
28/12/2020

12607-01-2-202012281618

ინდივიდუალურ მეწარმე ირაკლი ნიშნიანიძეს
მის: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. გელათი

ბატონო ირაკლი,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 11 დეკემბრის N19350 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. გელათში ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავი) მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დაცული ბუნების ძეგლის (წყალწითელას ხეობა) სიახლოვეს, შესაბამისად სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ავარიული სიტუაციებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესახებ. ხანძრის წარმოქმნის შემთხვევაში, დროული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული სამოქმედო გეგმა შეთანხმებული უნდა იქნეს იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან, ხოლო აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მოცემული უნდა იქნეს სკრინინგის განცხადებაში.
- ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბუნების ძეგლის სტატუსის მქონე წყალწითელას ხეობიდან დაახლოებით 76 მეტრში, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ უნდა მოხდეს მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების განთავსება. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს სკრინინგის განცხადებაში.

ამასთან, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონით „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ დადგენილი რეჟიმი ბუნების ძეგლის ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე